საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

GIP პოლიტიკის მემორანდუმი ნოემბერი 2022 / გამოცემა #62

მიგრაცია რუსეთიდან: საფრთხე თუ შესაძლებლობა საქართველოსთვის?

კორნელი კაკაჩია[1], სალომე კანდელაკი[2]

რუსეთის მოქალაქეების საქართველოში შემოდინებას ქვეყანაში არაერთგვაროვანი და წინააღმდეგობრივი დამოკიდებულებები მოჰყვა. მაშინ, როცა საქართველოს მმართველი პოლიტიკური ელიტა რუსეთის მოქალაქეების მიგრაციას აფასებს, როგორც ერთგვარ შესაძლებლობას, გააუმჯობესოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ გარემოებას ქვეყნისთვის უფრო რისკების შემცველ საკითხად განიხილავს. საზოგადოებაში არსებობს მოლოდინი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე რუსების მასობრივად გადაადგილება უკვალოდ არ ჩაივლის, და როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში, ეს პროცესი თავის გავლენას იქონიებს პოლიტიკურ-ეკონომიკურ, კულტურულ და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, წარმოდგენილ პოლიტიკის მემორანდუმში გაანალიზებულია საქართველოში რუსეთის მოქალაქეთა შემოსვლის შესაძლო შედეგები სხვადასხვა ჭრილში; კერძოდ კი, განხილულია კონკრეტული შესაძლებლობები, რომლებზეც საქართველოს მთავრობა საუბრობს, და შეფასებულია პოტენციური რისკები, რაც რუსეთის მოქალაქეების საქართველოში მასიურად შემოდინებამ, შეიძლება, წარმოქმნას.

[1] პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; დირექტორი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

[2] პოლიტიკის უმცროსი ანალიტიკოსი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

რუსების მიგრაცია საქართველოში: ეკონომიკური შესაძლებლობა, თუ გამოწვევა?

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გამოცდილების და მასთან დაკავშირებული მეხსიერების, ასევე, რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების შიშიდან გამომდინარე, საქართველოში რუსების მიგრაცია მოსახლეობისთვის ბუნებრივ და მისაღებ პროცესს არ წარმოადგენს. გვიანდელი საბჭოთა პერიოდის შემდეგ საქართველოს რუსეთის მოქალაქეების ამხელა ნაკადი არ უნახავს, რის გამოც ქართველ და რუს მოქალაქეებს შორის მაღალია კულტურული გაუცხოება (Lomsadze 2022). თუმცა, ამის მიუხედავად, საქართველოს მთავრობა რუსეთის მოქალაქეების საქართველოში შემოდინების ფაქტის პოზიტიურ ჭრილში წარმოჩენას ცდილობს. სწორედ რუსეთის მოქალაქეების შემოდინებას დაუკავშირა საქართველოს პრემიერ მინისტრმა ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, რაც აზიის განვითარების ფონდის წარმომადგენელმაც დაადასტურა (საბიროვა 2022). ეკონომიკის ზოგიერთმა ექსპერტმა მიგრაცია ახალ სოციალურ-ეკონომიკურ შესაძლებლობადაც წარმოაჩინა და აღნიშნა, რომ ის ახალი ინფრასტრუქტურის, სერვისების და ახალი სამუშაო ადგილების გაჩენის პერსპექტივებს გაზრდის, რაც საქართველოს მოქალაქეების ქვეყნიდან გადინებასაც შეამცირებს (ნადარაია 2022). თუმცა, მკვლევრების ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ ტიპის ეკონომიკურ სარგებელს, შესაძლოა, ერთჯერადი ხასიათის მოკლევადიანი ეკონომიკური ეფექტი ჰქონდეს (IDFI 2022). გარდა ამისა, ექსპერტების ნაწილი შიშობს, რომ წლის პირველ ნახევარში რუსეთიდან გზავნილების რეკორდული ზრდის გამო, შესაძლოა, კიდევ უფრო გაიზარდოს საქართველოს არაჯანსაღი ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე. ეკონომიკის ექსპერტები, ასევე, ვარაუდობენ, რომ მომავალში ეს გზავნილები შემცირდება, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში, სახელმწიფოს ეკონომიკურ მედეგობას შეუქმნის საფრთხეს (Shamanauri 2022).

აღნიშნულ საკითხს საერთაშორისო თანამეგობრობიდანაც მოჰყვა გამოხმაურება. ევროპარლამენტარ ვიოლა ფონ კრამონის თქმით, მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის ზრდა და ლარის დასტაბილურება საქართველოში იმის ხარჯზე ხდება, რომ "საქართველო ომისგან სარგებელს იღებს" (უგრეხელიძე, 2022). მსგავსი მოსაზრება გააჟღერა ევროპელმა დიპლომატმაც, რომელმაც აღნიშნა, რომ, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია საქართველოსნაირი ღარიბი ქვეყანა რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად კიდევ უფრო არ გაღარიბდეს და სტაბილურობა შეინარჩუნოს, თუმცა მეორეა, როდესაც ქვეყანა ამ სიტუაციით სარგებლობს.

სწორედ ამ საკითხზე ხდებოდა აპელირება, როდესაც გაზაფხულზე დასავლელი პარტნიორები საქართველოს სანქციებზე არმიერთების გამო აკრიტიკებდნენ და შიშობდნენ, რომ ქვეყანა, შესაძლოა, ბიზნესის შავ ხვრელად ქცეულიყო (კოლასი 2022).

სოციალურ-ეკონომიკური განზომილება

საგულისხმოა, რომ რუსეთის მოქალაქეების შემოსვლის შემდგომი ზოგადი ეკონომიკური ზრდა საზოგადოების კეთილდღეობაზე თანაბრად არ ასახულა და მეტიც, კიდევ უფრო გაღრმავდა სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის უთანასწორობა. თუ ერთი მხრივ, გარკვეული სერვისების მიმწოდებლებმა სხვადასხვა მომსახურებაზე და ბინადრობაზე გაზარდეს საფასური და ამით სარგებელი მიიღეს, მეორე მხრივ, კიდევ უფრო დაზარალდა შეჭირვებული სოციალური ფენა და შემცირდა მათი მხრიდან სხვადასხვა სერვისებსა თუ საბაზისო საჭიროების ნივთებზე ხელმისაწვდომობა. ამის ნათელი მაგალითია სურსათზე, ელექტროენერგიაზე, საწვავზე ფასების ზრდა და კომერციული ფართებისა და ბინის ქირის საფასურის გაძვირება (Business Media 2022). ამის გამო განსაკუთრებით დაზარალდნენ სოციალურად დაუცველები, უმუშევრები და რეგიონიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსული სტუდენტები, რომლებსაც არ შეუძლიათ თავიანთი საბაზისო საჭიროებების ფინანსურად დაკმაყოფილება (მენაღარიშვილი 2022). სოციალური ფონის გაუარესებას ზაფხულში ჩატარებული საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგებიც მოწმობს, რომლის მიხედვითაც ყოველი მესამე ადამიანი ამბობს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში მას საკვების საყიდლად საკმარისი თანხა არ ჰქონია (NDI 2022(დიაგრამა 1)).

დიაგრამა 1: საზოგადოებრივი აზრის კვლევა, NDI, ივლისი-აგვისტო 2022



წყარო: https://caucasusbarometer.org/ge/nj2022ge/NOMONFD/

ეკონომიკური თვალსაზრისით, ის ეკონომიკური სარგებელი, რომელზეც ამ ეტაპზე ხელისუფლების მხრიდან აპელირება ხდება, ექსპერტთა ნაწილის თვალსაზრისით, შესაძლოა, დიდხანს აღარ გაგრძელდეს (BPN 2022). სერვისის ქართველ მიმწოდებლებს და ბინადმესაკუთრეებსაც შესაძლოა აღარ გაეზარდოთ ფინანსური სარგებელი, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში ტურისტული სეზონიც, ფაქტობრივად, დასრულებულია. ასევე არსებობს რისკები, რომ რუსეთის იმ მოქალაქეებმა, რომლებიც ბინადრობის უფლებას მოითხოვენ და სოციალურად ინტეგრირებას შეეცდებიან, შესაძლოა ადგილობრივ მოსახლეობას სამუშაო ბაზარზე კონკურენცია გაუწიონ (რადიო თავისუფლება 2022b). ეს სცენარი კიდევ უფრო რეალისტური გახდება რუსეთში სრული სამხედრო მობილიზაციის გამოცხადების შემთხვევაში, რასაც, სავარაუდოდ, საქართველოში რუსების უფრო დიდი ნაკადის შემოდინება მოჰყვება.

აღნიშნული საკითხის ანალიზისას, ასევე, გასათვალისწინებელია გაზაფხულზე ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოსახლეობის 66%-ს მიაჩნია, რომ რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის დაწესებაა საჭირო (NDI 2022, დიაგრამა 2). ხოლო IRI-ის უახლესი კვლევის მიხედვით, მოსახლეობის 78% ეწინააღმდეგება რუსების საქართველოში უვიზოდ შემოსვლას (IRI 2022, დიაგრამა 3)

მიუხედავად საზოგადოების ასეთი განწყობისა, აშკარაა, რომ მთავრობის ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მოსახლეობის რეალურ ყოფასა და მათ განწყობებთან თანხვედრაში არ მოდის.

მთავრობის კრიტიკოსები ასევე აღნიშნავენ, რომ ის პოზიტიური ეკონომიკური დინამიკა, რაც სახელმწიფომ რუსების მიგრაციის ფონზე აჩვენა ქვეყნის საყოველთაო სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობაზე არ ასახულა. ამას მოწმობს ისიც, რომ რუსთის მოქალაქეების შემოდინების ფონზე, რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტების დიდი ნაწილი საცხოვრებლის გარეშე დარჩა, გამომდინარე იქიდან, რომ გასაქირავებელი ბინები თბილისში არა თუ მხოლოდ გაძვირდა, არამედ თითქმის საერთოდ აღარ დარჩა (გოგოხია 2022).

ამ ფონზე თანდათან იზრდება საზოგადოების უკმაყოფილება, რამდენადაც ეკონომიკური სარგებლის მიღების გამო რუსეთის მოქალაქეების საქართველოს მოქალაქეებზე მაღლა დაყენების რამდენიმე შემთხვევას უკვე ჰქონდა ადგილი.

დიაგრამა 2: NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2022 წლის მარტი



წყარო: https://caucasusbarometer.org/ge/nm2022ge/RUVISRG/

დიაგრამა 3: IRI, საქართველოს მოქალაქეების საზოგადოებრივი გამოკითხვა, 09. 2022.



წყარო: https://www.iri.org/resources/public-opinion-survey/

რუსეთიდან მოსახლეობის მასობრივი შემოდინება და დემოგრაფიული გამოწვევები

რუსეთის მოქალაქეების დიდი ნაკადის საქართველოში დამკვიდრება გარკვეულ დემოგრაფიულ შიშებთანაც არის დაკავშირებული. ეს შიშები კი განსაკუთრებით გააქტიურდა მას შემდეგ, რაც რუსეთში გამოცხადებული ნაწილობრივი სამხედრო მობილიზაციის ფონზე, საქართველოში რუსების შემოდინება, ბოლო თვეებში, საგრძნობლად გაიზარდა. რუსეთის მოქალაქეებისთვის საქართველო საიმედო თავშესაფრად ნაწილობრივ იმიტომ იქცა, რომ მათ აქ უვიზოდ ერთი წლის განმავლობაში დარჩენის უფლება აქვთ (მიგრაციის კომისია 2022). შსს-ს ოფიციალური მონაცემებით, მხოლოდ სექტემბრის თვეში საქართველოში რუსეთის 222 ათასზე მეტი მოქალაქე შემოვიდა (შსს 2022a, დიაგრამა 3). თუმცა, შეფასებას, რომ „საქართველო რუსებით გაივსო", მმართველი პარტიის ლიდერმა სპეკულაცია უწოდა და თავის ერთ-ერთ განცხადებაში აღნიშნა, რომ საზღვარს, უმეტესწილად, რუსეთში მცხოვრები ქართველები კვეთდნენ და მათგან, ვინც საქართველოს საზღვარი სექტემბრის ბოლოს გადმოკვეთა, ეთნიკურად რუსი მაქსიმუმ 20 000 შეიძლებოდა ყოფილიყო (კობახიძე 2022b). თუმცა, ასევე ყურადსაღებია შსს-ს ბოლო სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც წელს რუსეთიდან შემოსული მოქალაქეებიდან 112 733 საქართველოში დარჩა (საქართველოს პარლამენტი 2022, დიაგრამა 4). ამ მონაცემებზე დაყრდნობოთ, უსაფრთხოების ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ჯამში ამხელა ნაკადის საქართველოში გრძელვადიანად დასახლება ბევრ სირთულესთან იქნება დაკავშირებული (Lomsadze 2022).

დიაგრამა 4: საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული პირებისა და ტრანსპორტის სტატისტიკური მონაცემები, შსს, 2022 წლის სექტემბერი.



	რუსეთის ფედერაცია	სომხეთი	თურქეთი	ევროკავშირის ქვეყნები	ისრაელი	უკრაინა	ირანის ისლამური რესპუბლიკა
2021 წ.	36407	23193	35495	24306	10895	22812	1757
2022 წ.	222274	104136	90839	37389	27589	21960	18684

წყარო: https://info.police.ge/page?id=625&parent_id=94

დიაგრამა 5: რუსეთის, უკრაინის, ბელარუსის მოქალაქეების რაოდენობა

საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს პარლამენტი, 03.10.2022

მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც **01.01.2022**-დან **30.09.2022**-ის ჩათვლით შემოვიდნენ და **03.10.2022** დღის მდგომარეობით იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე	
მოქალაქეობა	**რაოდენობა**
რუსეთის ფედერაცია	**112 733**
უკრაინა	**25 779**
ბელარუსია	**13 151**

წყარო: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/19959

მთავრობის მშვიდი პოზიციის მიუხედავად, ქვეყანაში არსებობს იმის შიში, რომ რუსეთის მოქალაქეების მასობრივმა შემოდინებამ, შესაძლოა, გარკვეული ნეგატიური გავლენა მოხდინოს ქვეყანაში არსებულ დემოგრაფიულ მდგომარეობაზე. ამის წინაპირობას უმთავრესად ის ქმნის, რომ დემოგრაფიული თვალსაზრისით ქვეყნებს შორის პროპორციებში მნიშვნელოვანი დისბალანსია (საქართველოს მოსახლეობა სულ რაღაც 3.5 მილიონია და რუსეთის კი 144.1 მილიონი). საქართველოში რთული ეკონომიკური გარემოებებიდან გამომდინარე ქართველები მასიურად ტოვებენ ქვეყანას. ამას მოწმობს ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტოს ანგარიშიც, რომლის მიხედვითაც, 2022 წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში, ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს 8075 მოქალაქემ მოითხოვა თავშესაფარი, რაც შარშანდელთან შედარებით 183%-ითაა გაზრდილი (EUAA 2022). იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკური კონიუქტურიდან გამომდინარე რუსეთიდან მოქალაქეების საქართველოში შემოდინება კვლავ ამ ტემპებით გაგრძელდება, გრძელვადიან პერსპექტივაში, შესაძლოა, ამ პროცესებმა გარკვეული დემოგრაფიული დისბალანსის საფრთხე შექმნას.

საზოგადოებაში ზემოთ ნახსენები შიშების გამყარებას არსებული სტატისტიკაც უწყობს ხელს. კერძოდ, საქსტატის მონაცემებით, მარტის თვეში საქართველოში 9,114 კომპანია დარეგისტრირდა, რაც წინა წელთან შედარებით 72%-ით მეტია (Business Media 2022). ხოლო აპრილში, მაისსა და ივნისში, რუსეთის მოქალაქეებმა დამატებით კიდევ 6419 კომპანია

დაარეგისტრირეს (TI 2022). IDFI-ის 2022 წლის 30 სექტემბრის ანგარიშის მიხედვით, გაზრდილია ქორწინების გზით ბინადრობის ნებართვის მიღების რაოდენობა, რადგან რუსეთის მოქალაქეების საქართველოს მოქალაქეებზე ქორწინების გზით შესაძლებელია მუდმივი ბინადრობის ნებართვის მიღება (IDFI 2022). იმ შემთხვევაში, თუ რუსები საქართველოს მოქალაქეობის მიღებას დაისახავენ მიზნად, მომავალში მათ ევროკავშირში მოგზაურობის შესაძლებლობაც მიეცემათ საქართველოს ევროკავშრთან უვიზო რეჟიმის არსებობის გამო, რაც ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს მოქალაქეობის სურვილის. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ მათ საქართველოს მოქალაქეობა მიეცემათ, მაშინ მათ ასევე არჩევნებში მონაწილეობაც შეეძლებათ, რაც პოტენციურად პრორუსულად განწყობილ ელექტორატს გაზრდის. ამ პროცესმა კი თავის მხრივ შეიძლება ახალი ტიპის ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევას დაუდოს საფუძველი.

რუსი მიგრანტების საქართველოში შემოდინება და ეროვნული უსაფრთხოების რისკები

თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთს საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებული აქვს და კვლავ ცდილობს თავისი გავლენების გაძლიერებას საქართველოში და, ზოგადად, სამხრეთ კავკასიაში, რუსი მოქალაქეების მასიური შემოდინება, შესაძლოა, რამდენიმე მიმართულებით წარმოადგენდეს პოტენციურ საფრთხეს. აღნიშნული გამოწვევები, შესაძლოა, მოიცავდეს როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან რისკებს.

მოკლევადიანი რისკები:

მოკლევადიან რისკებს შორის შეიძლება გამოიყოს დივერსიის საფრთხე და კრიმინალის ზრდა. კერძოდ, უსაფრთხოების ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ არსებობს საფრთხე ამ ნაკადს **დივერსიული ჯგუფებიც** შემოჰყოლოდნენ ქვეყნის შიგნით არეულობის გამოიწვევის მიზნით. სწორედ მსგავს მიზეზით ახსნა ევროკომისარმა ილვა იოჰანსონმაც ევროკავშირის ქვეყნების საზღვრების რუსეთის მოქალაქეებისთვის ჩაკეტვა და აღწერა, თუ როგორ აწყობდნენ თითქოს ტურისტად შესული რუსები უკრაინელი ლტოლვილების მიმართ პროვოკაციებს (Euronews 2022). სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს ერთ-ერთ პოტენციურ საფრთხისშემცველ ფაქტორს საქართველოს შემთხვევაშიც. კერძოდ, უკრაინაში რუსეთის შეჭრის ფონზე, საქართველოში უკრაინელი ლტოლვილებისა და რუსი ლტოლვილების

თანაცხოვრებას შესაძლოა ***სამოქალაქო დაპირისპირებების*** ეპიზოდებიც მოჰყვეს (სამხარაძე, 2022).

დივერსიული ჯგუფების შემოსვლის რისკი, ასევე, გულისხმობს ***ჯაშუშების ქვეყანაში შემოდინებასაც***. ბოლო პერიოდში ამისი დადასტურებული სულ მცირე ორი მაგალითი არსებობს, რაც მათ როგორც საქართველოში ასევე ევროპაში თავშესაფრის მიღების შემდეგ ჟურნალისტებთან თავადვე აღიარეს (სოკოლოვი 2022). სავარაუდოა, რომ ის აგენტები, რომლებიც ეფესბეს დავალებას ასრულებენ, სამომავლოდ საქართველოს ბევრ პრობლემას შეუქმნიან როგორც შიდა დაპირისპირებების გამოწვევის, ისე ქართველების გადაბირებისა და ქვეყნის რეპუტაციის შელახვის მცდელობის გზით.

უსაფრთხოების კიდევ ერთი გამოწვევა, შესაძლოა, ***კრიმინალის პოტენციური ზრდა*** იყოს. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში გამოქცეულ რუსეთის მოქალაქეებს დანაზოგები ამოეწურებათ და ადგილობრივ შრომით ბაზარზეც ვერ მოახერხებენ თვითდამკვიდრებას, შესაძლოა თავის გადასარჩენად მათ სხვა ხერხებსაც მიმართონ, მათ შორის, არ არის გამორიცხული, გახშირდეს კრიმინალური დანაშაულების შემთხვევებიც. გარდა ამისა, უსაფრთხოების ექსპერტთა ნაწილი გამოთქვამს წუხილს იმის შესახებ, რომ სავსებით შესაძლებელია, გაიზარდოს ***კორუფციული შემთხვევების რაოდენობაც.*** მათი თქმით, ეს ადამიანები კორუფციული გარემოს მქონე ქვეყნიდან მოდიან, სადაც მიღებულია მართვის მოწმობის, ბინადრობის მოწმობის და პასპორტის ყიდვა, და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ისინი ამ დამოკიდებულებას მარტივად შეცვლიან და საქართველოს კანონმდებლობას დაემორჩილებიან, რამდენადაც ის მათი ცხოვრების წესთან მოდის წინააღმდეგობაში (გობრონიძე 2022). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურებმა წინასწარ განსაზღვრონ ეს რისკები, რათა ამგვარი პრეცედენტების არსებობის შემთხვევაში დროულად შეძლონ პოტენციური კრიმინალური საფრთხეების აღმოფხვრა.

გრძელვადიანი რისკები:

გრძელვადიან პერსპექტივაში, ყველაზე რეალისტური რუსული პროპაგანდის, რბილი ძალისა და ტერიტორიული უსაფრთხოების რისკების ზრდა შეიძლება იყოს. რუსების საქართველოში კომპაქტურად ჩასახლება ***რბილი ძალის*** მეშვეობით რუსული პროპაგანდის ეფექტიანობას განსაკუთრებით უწყობს ხელს. ამ კუთხით ყურადსაღებია რუსების მიერ საქართველოში ბინების შეძენის მზარდი ტენდენციაც (ანანიძე 2022), განსაკუთრებით თვალშისაცემია ბათუმში რუსების კომპაქტურად ჩასახლების ფაქტები. მაგალითად, საჯარო

რეესტრის ივლისის თვის ამონაწერის მიხედვით, 585 ბინა ბათუმის 23 კორპუსში რუსი მესაკუთრის სახელზეა გაფორმებული, რომლებიც კორპუსების თავჯდომარეებისგან ინფორმაციის მიღებას რუსულ ენაზე მოითხოვენ (ანანიძე 2022). აღნიშნულმა ფაქტმა ადგილობრივი მოქალაქეების უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან ბევრმა ამ მოთხოვნაში რუსული ენის დომინირების საფრთხეც დაინახა.

რუსული ***რბილი ძალის რისკს*** უკავშირდება ბათუმსა და თბილისში რუსულენოვანი სკოლების ამოქმედებაც (ნერგაძე 2022). საზოგადოების განსაკუთრებული ვნებათაღელვა გამოიწვია ბათუმში რუსული სკოლა "School Club Georgia"-ს არალეგალურად გახსნამ, სადაც მოსკოვის პროგრამით მიმდინარეობდა სწავლება (რადიო თავისუფლება 2022b). აღნიშნულ ფაქტზე განათლების სამინისტროს მხრიდან მხოლოდ მას შემდეგ მოხდა რეაგირება, რაც ამის შესახებ მედიაში დაიწერა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო გამოძიება უკანონო საგანმანათლებლო საქმიანობის წარმოებასთან დაკავშირებით (განათლების სამინისტრო 2022). ბათუმშივე ჰქონდა ადგილი ინციდენტს, როდესაც ქართველმა მოსწავლემ სკოლის კედელზე გაკრული რუსეთის და ე.წ. „აფხაზეთის რესპუბლიკის" დროშები შეამჩნია და პროტესტის ნიშნად ჩამოხია. მან ამ შემთხვევის შემდეგ თავად მიიღო სკოლის დირექტორის მხრიდან გაფრთხილება, ხოლო ამ ამბის საჯაროდ გამოტანას სკოლის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება მოჰყვა (რადიო თავისუფლება 2022). მსგავსი შემთხვევები განსაკუთრებით ყურადსაღებია განათლების სამინისტროსა და უსაფრთხოების უწყებების მხრიდან, რათა არ მოხდეს უკანონო საგანმანათლებლო საქმიანობის წახალისება და ამ ნიადაგზე ეთნიკური კონფლიქტის გაღვივება.

გრძელვადიანი პოტენციური საფრთხეებიდან ასევე მნიშვნელოვანია გამოიყოს ***რუსული აგრესიის წახალისებისთვის ნიადაგის მომზადების საფრთხე.*** ამ კუთხით ბათუმის შემთხვევა განსაკუთრებით საყურადღებო იმიტომ გახდა, რომ რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ანდრეი კლიმოვმა, გაზაფხულზე პროვოკაციული განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს აჭარას შეუძლია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაგალითს მიბაძოს და „საქართველოდან გამოყოფის პროცედურები დაიწყოს" (კლიმოვი 2022). უკრაინის ტრაგიკული მოვლენებისა და უახლოეს სამეზობლოში კრემლის აგრესიული პოლიტიკის გათვალისწინებით, ქართული საზოგადოება აღნიშნულ საკითხს მგრძნობიარედ ეკიდება და ბუნებრივია ეს საკითხი სრულიად საფუძვლიანად გახდა შეშფოთების საფუძველი. ამ კონტექსტში საზოგადოებამ კიდევ უფრო არაადეკვატურად აღიქვა საქართველოს მმართველი პარტიის ლიდერის განცხადება იმის შესახებ, რომ ქსენოფობიის ნიადაგზე

რუსებთან ფიზიკურად დაპირისპირების შემთხვევაში, ხელისუფლება ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ კანონის გამკაცრებაზე მუშაობას დაიწყებდა (კობახიძე 2022a). მსგავსი შინაარსის განცხადებების გაჟღერება რუსეთის ხელისუფლებისთვის წისქვილზე ასხამს წყალს, რადგან რუსული პროპაგანდისტული ნარატივი ხშირად სწორედ მსგავს თემატიკაზეა აგებული. ბევრი მოქალაქე შიშობს, რომ ყველაზე უარეს შემთხვევაში, რუსეთის ფედერაციამ შეიძლება ნაცად ხერხს მიმართოს და, გრძელვადიან პერსპექტივაში, რეალურად დაისახოს მიზნად ბათუმში რუსულენოვან მოსახლეობაზე დომინირების მოპოვება. ხოლო შემდგომ, ვითომდა მათი უფლებების დაცვის საბაბით, ამ ტერიტორიაზე პოლიტიკური კონტროლის გაძლიერებას შეეცადოს.

რამდენად თავსებადია რუსული და ქართული საზოგადოებები ერთმანეთთან კულტურული თვალსაზრისით?

დღესდღეობით, კულტურული გაუცხოებისა თუ მტრული განწყობების გამო, ქართული და რუსული საზოგადოებების თანაცხოვრება მრავალ გამოწვევასთან არის დაკავშირებული. თუ 1989 წლისთვის საქართველოს მოსახლეობაში ეთნიკურად რუსების წილი 6.3% იყო (Khutsishvili 2022), 2014 წლის მონაცემებით მათი რაოდენობა 0.5%-ს შეადგენდა. გარდა ამისა, 2011 წლიდან მკვეთრად შემცირდა რუსული სკოლების რაოდენობა და დარჩა მხოლოდ რუსული სექტორები, სადაც ძირითადად ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი მოსწავლეები სწავლობდნენ ენობრივი ბარიერის გამო (კახიშვილი 2020). მიუხედავად რუსეთში არსებული საკმაოდ დიდი ქართული დიასპორისა, ქართველ ახალგაზრდებს რუსულ კულტურასთან ბმა ნაკლებად გააჩნიათ. მათი უმეტესობა განათლებას ან საქართველოში იღებს, ან დასავლეთში და შესაბამისად, მათ დასავლეთთან უფრო მეტი კულტურული სიახლოვე აქვთ, ვიდრე რუსეთთან. ნახსენები კულტურული გაუცხოებისა და ომის გამოცდილების ფონზე, ქართული საზოგადოებისთვის, და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობისთვის, რუსების ამ რაოდენობით საქართველოში შემოდინება დიდი კულტურული შოკია. რთულად წარმოსადგენია, რომ უახლოეს მომავალში მათი ინტეგრირება შესაძლებელი იყოს, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ რუსეთის მოსახლეობაში პუტინის რეიტინგი ჯერ კიდევ 77%-ს შეადგენს (რადიოთავისუფლება 2022). საქართველოში რუსეთის მოქალაქეების რიცხვის ზრდა ბუნებრივად განაპირობებს მოთხოვნას მათი პოლიტიკური უფლებების ზრდაზეც. ამ საკითხის გადწყვეტის შემთხვევაში პრორუსული ელექტორატის ზრდა სავარაუდოდ

მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს, როგორც ქვეყნის შიდა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, ასევე საგარეო პოლიტიკური ვექტორის განსაზღვრაზეც.

დასკვნა

საქართველოში რუსეთის მოქალაქეების გაზრდილი მიგრაციის საკითხის გარშემო საზოგადოების აზრები იყოფა. ხელისუფლება აღნიშნულ პროცესს ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობად აღიქვამს, ხოლო საზოგადოების ნაწილი სიტუაციას უფრო სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის და ეროვნული უსაფრთხოების რისკების ჭრილში აფასებს. ის ეკონომიკური სარგებელი, რომელზეც ხელისუფლება ამახვილებს ყურადღებას, მოკლევადიან შედეგზეა გათვლილი და დიდი შანსია, რომ, გრძელვადიან პერსპექტივაში, ქვეყანამ უფრო მეტად იზარალოს. გარდა ამისა, იმ სოციალურმა, დემოგრაფიულმა, კულტურული და ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევებმა, რომლებზეც საზოგადოება ხელისუფლებას მიანიშნებს, უმოქმედობის და სტრატეგიული ხედვების არქონის შემთხვევაში, შესაძლოა, საბოლოო ჯამში, მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის ზრდისგან გამოწვეული ერთჯერადი პოზიტიური ეფექტი გადაწონოს.

გარდა ამისა, ამ თემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინოს დასავლელი პარტნიორების კრიტიკა რუსეთ-უკრაინის ომის ხარჯზე საქართველოს მიერ ეკონომიკური სარგებლის მიღებასთან დაკავშირებით. დასავლელი პარტნიორების რეკომენდაციებისა და კრიტიკული შეფასებების უგულვებელყოფა ზრდის იმის რისკებს, რომ მომავალში ქვეყანამ მათგან იმავე ხარისხის მხარდაჭერა ვეღარ მიიღოს, როგორსაც ის აქამდე იღებდა. გარდა ამისა, დასავლეთის მხარდაჭერის შემცირება მომავალში რუსეთის მხრიდან საქართველოში მიმდინარე პროცესებზე გავლენის მოხდენის რისკებს წარმოშობს. აღნიშნული სცენარის რეალობაში განხორციელება, თავის მხრივ, არა მხოლოდ საერთო სოციალურ და კულტურულ სურათს შეცვლის, არამედ პოლიტიკურ ველსაც გარდაქმნის და საქართველოს ამჟამინდელ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტს - ევროატლანტიკურ ინტეგრაციას - საფრთხის ქვეშ დააყენებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ანანიძე, ჯაბა. 2022. *რამდენი ბინა იყიდეს რუსეთის მოქალაქეებმა ბათუმში – 23 კორპუსის მონაცემი.* ხელმისაწვდომია: https://batumelebi.netgazeti.ge/news/421733/ ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

ბიძინაშვილი, ნინო. 2022.*საქართველოს დღემდე არ აქვს უკრაინელი ლტოლვილების დახმარების ერთიანი გეგმა – რატომ?* ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/609836/ ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

გობრონიძე, გიორგი. 2022. კორუფციული ცხოვრების წესი, ეკონომიკური ექსპანსია, ორგანიზებული ჯგუფები: რის შესახებ აფრთხილებენ საქართველოს ხელისუფლებას? Accentnews. ხელმისაწვდომია: https://accentnews.ge/ka/article/73112-korupciuli-cxovrebis-cesi- ბოლოჯერ ნანახია: 27.10.2022.

გოგოხია, ქეთი. 2022. სტუდენტებს შეიძლება აკადემიურის აღება ან სულაც სწავლის შეწყვეტა მოუწიოთ! ხელმისაწვდომია: http://www.resonancedaily.com/mobile/index.php?id_rub=3&id_artc=164743 ბოლოჯერ ნანახია: 16.10.2022.

გვინდაძე, სანდრო. 2022. რასისტი მეპატრონეები, ხრუშჩოვკები თვეში 500 დოლარად - ქართველ ახალგაზრდებს ბინის პოვნა უჭირთ. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32019513.html ბოლოჯერ ნანახია: 16.10.2022.

კახიშვილი, ლევან. 2020. სარგებლობენ თუ არა ეთნიკური უმცირესობები საქართველოს ევროპეიზაციასთან დაკავშირებული სიკეთეებით? ხელმისაწვდომია: https://gip.ge/ka/publication-post/do-ethnic-minorities ბოლოჯერ ნანახია: 09.10.2022.

კობახიძე, ირაკლი.2022a. ირაკლი კობახიძე: ვიწყებთ კანონის გამკაცრებას ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციაზე. რადიო თავისუფლება. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31736231.html ბოლოჯერ ნანახია: 27.10.2022.

კობახიძე, ირაკლი. 2022b. კობახიძე: „გაივსო რუსებით“ - ეს არის სპეკულაცია. რადიო თავისუფლება. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32058265.html ბოლოჯერ ნანახია: 27.10.2022.

კლიმოვი, ანდრეი. 2022. *აჭარას შეუძლია, საქართველოდან გამოყოფის პროცედურები დაიწყოს – რუსი დეპუტატი.* Netgazeti.ge. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/603163/ ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

კოლასი, დიეგო. 2022. *"იმედი გვაქვს, რომ საქართველო არ იქნება ბიზნესის შავი ხვრელი"- საფრანგეთის ელჩი.* Business Media. ხელმისაწვდომია: https://bm.ge/ka/article/imedi-gvaqvs-rom-saqartvelo-ar-iqneba-biznesis-shavi-xvreli--safrangetis-elchi/105253 ბოლოჯერ ნანახია: 09.10.2022.

კუნჭულია, ლელა.2022. *რუსი ლტოლვილები* ორ ცეცხლს შუა - საფრთხეები და თანაგრძნობა.* რადიო თავისუფლება. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32056439.html ბოლოჯერ ნანახია: 09.10.2022.

მენაღარიშვილი, ზურაბ. 2022. *რა ეშველებათ სტუდენტებს — სწავლა იწყება, ბინები კი კვლავ ძვირია.* ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/627826/ ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. 2022. *კომისიის შესახებ.* ხელმისაწვდომია: https://migration.commission.ge/index.php?article_id=5&clang=0 ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

მიგრაციის კომისია. 2022. *ქვეყნები, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა.* ხელმისაწვდომია : https://migration.commission.ge/index.php?article_id=160&clang=0 ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

ნადარაია, ნოდარ. 2022. რა ეფექტი ექნება რუსი მიგრანტების შემოდინებას საქართველოს ეკონომიკაზე? - ნადარაიას მოსაზრება. Business Media. ხელმისაწვოდმია: https://bm.ge/ka/article/ra-efeqti-eqneba-rusi-migrantebis ბოლოჯერ ნანახია: 15.10.2022.

ნერგაძე, თამარ. 2022. *რუსული სკოლა ბათუმში, სადაც რუსეთში შემუშავებული სახელმძღვანელოებით ასწავლიან.* ხელმისაწვდომია: https://batumelebi.netgazeti.ge/news/433097/ ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

პირველი არხი. 2022. პარტია „ლელო“ რუსეთთან სავიზო რეჟიმის დაწესების ინიციატივით გამოდის. ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/partia-lelo-rusettan-savizo-redjimis-dawesebis-iniciativit-gamodis/ ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

რადიო თავისუფლება. 2022a. *რუსეთში შემცირდა პუტინის საქმიანობის მხარდაჭერა - "ლევადა-ცენტრი."* ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32059111.html ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

რადიო თავისუფლება. 2022b. ბოდიში, ქართულად ვერ ვლაპარაკობ - რუსული ბიზნესები ქართული ენის გარეშე. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32089408.html ბოლოჯერ ნანახია: 25.10.2022.

რეხვიაშვილი, ჯიმშერ. 2006. *როგორ ცხოვრობენ რუსები საქართველოში - უნდა უპასუხოს თუ არა საქართველომ რუსეთის სანქციებს სანქციებით.* ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/1549066.html ბოლოჯერ ნანახია: 07.10.2022.

საქართველოს პარლამენტი. 2022. მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც 01.01.2022-დან 30.09.2022-ის ჩათვლით შემოვიდნენ და 03.10.2022 დღის მდგომარეობით იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/19959 ბოლოჯერ ნანახია: 26.10.2022.

საქართველოს სასაზღვრო პოლიცია. 2022. *საქმიანობა და უფლებამოსილებები.* ხელმისაწვდომია: https://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/saqartvelos-sasazghvro-politsia ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

საბიროვა, ლიაზიზა. 2022. *მიგრანტების შემოდინებამ საქართველოს ეკონომიკაზე დადებითად იმოქმედა, თუმცა ეს ერთჯერადი ეფექტია - ADB.* აზიის განვითარების ბანკი. ხელმისაწვდომია: https://jam-news.net/ge/m igrantebis-shemodineba-saqartveloshi/ ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

სამხარაძე, ნინო. 2022. საქართველოს ხელისუფლება რუსეთს თავისი მოქალაქეების „დაცვის“ საბაბს აძლევს — სამხარაძე. Netgazeti. ინტერვიუერი: ნინო ჩიჩუა. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/interviews/624346/?fbclid=IwAR0CMZiccxuFBCY_V3_7PAYgPZS1ltc3d4nuYhdHY3EPucx3yUO3qI-CVzw ბოლოჯერ ნანახია: 27.10.2022.

სოკოლოვი, მიხაილ. 2022. რუსეთის 2 ყოფილი აგენტი აღიარებს, რომ საქართველოში ჯაშუშური მისიით გამოგზავნეს. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/628898/ ბოლოჯერ ნანახია: 16.10.2022.

უგრეხელიძე, მარიამ. 2022. *კრამონი: პუტინისთვის განსაკუთრებით ძნელი იქნება ასეთ პოლიტიკურ გარემოში გადარჩენა.* ხელმისაწვდომია: https://www.amerikiskhma.com/a/6775790.html?fbclid=IwAR0f-bjTru9obQ3OxowL64O54GVR9eH61aww3dAecWzgDB6lLfD4BBpwPg4 ბოლოჯერ ნანახია: 09.10.2022.

ფორმულა. 2022. *"არ ახსენოთ ომი, რუსეთი" - ბათუმის მერიამ უკრაინელებს აპარატურის სანაცვლოდ პირობა წაუყენა.* ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/76005 ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

შსს. 2022a. *რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოში შემომსვლელთა რაოდენობის სტატისტიკა.* ხელმისაწვდომია: https://m.facebook.com/MIAofGeorgia/posts/400636912245148/ ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

შსს. 2022b. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული პირებისა და ტრანსპორტის სტატისტიკური მონაცემები (2022 წლის სექტემბერი). ხელმისაწვდომია: https://info.police.ge/page?id=625&parent_id=94 ბოლოჯერ ნანახია: 25.10.2022.

BBC.2022. *"Мы вышли из очереди и смирились". Кого и почему не выпускают из России.* ხელმისაწვდომია: https://www.bbc.com/russian/features-63040738?xtor=AL-73-[partner]-[bbc.news.twitter] ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022

BPN - Business Press News. 2022. ADB - მიგრანტების შემოდინებამ საქართველოს ეკონომიკაზე დადებითად იმოქმედა, თუმცა ეს ერთჯერადი ეფექტია. ხელმისაწვდომია: https://www.bpn.ge/article/100688-adb-migrantebis-shemodinebam-sakartvelos-ekonomikaze-dadebitad-imokmeda-tumca-es-ertjeradi-epektia/ ბოლოჯერ ნანახია: 25. 10.2022.

Business Media.2022. *ეკონომიკური ზრდის ნაცვლად, ევროპაში საუბარი მიდის, თუ როგორ გაათბონ საკუთარი მოქალაქეები - ღარიბაშვილი.* ხელმისაწვდომია: https://bm.ge/ka/article/ekonomikuri-zrdis-nacvlad-evropashi-saubari-midis-tu-rogor-gaatbon-sakutari-moqalaqeebi---garibashvili/117579 ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

Business Media.2022. *ბინის ქირის ფასი გაიზარდა.* ხელმისაწვდომია: https://bm.ge/ka/video/binis-qiris-fasi-gaizarda/33205/ ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022

Business Media.2022. *როგორ აისახება სურსათის და ენერგეტიკული ფასების ზრდა ეკონომიკაზე.* ხელმისაწვდომია: https://bm.ge/ka/video/rogor-aisaxeba-sursatis-da-energetikuli-fasebis-zrda-ekonomikaze/32991/ ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

Business Media. 2022. *რუსული კომპანიები, რომლებიც საქართველოში ომის დროს დაარეგისტრირეს - სრული სია.* ხელმისაწვდომია: https://bm.ge/ka/article/rusuli-kompaniebi-romlebic-saqartveloshi-daaregistrires---sruli-sia/108146 ბოლოჯერ ნანახია: 09.10.2022.

BPN - BusinessPressNews. 2022. ,,ბათუმში არის რესტორნები, სადაც აბსოლუტურად რუსული პერსონალი გემსახურება" - საქართველო ტურიზმის ინდუსტრიის ალიანსი. ხელმისაწვდომია: https://www.bpn.ge/article/98753-batumshi-aris- ბოლოჯერ ნანახია: 14.10.2022.

Civil.ge.2022.*პუტინის მობილიზაციას გამოქცეულები – რა ხდება ლარსის გამშვებ პუნქტთან?* ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/509408 ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

DW.2022.*Russia restricts access to Georgia border amid military call-up.* ხელმისაწვდომია: https://www.dw.com/en/russia-restricts-access-to-georgia-border-amid-military-call-up/a-63271039 ბოლოჯერ ნანახია: 07.10.2022.

რუსთავი 2. 2022. *პუტინის ომს ოკუპანტი ქვეყნის მოქალაქეები კი ისევ გაურბიან - რა ხდება ლარსზე და რა გზას გადიან რუსები საქართველოში მოსახვედრად.* ხელმისაწვდომია აქ: https://rustavi2.ge/ka/news/239103 ბოლოჯერ ნანახია: 09.10.2022.

Euronews. 2022. *EU further tightens visas for Russian citizens over 'security threat'* ხელმისაწვდომია: https://www.euronews.com/my-europe/2022/09/30/eu-further-tightens-visas-for-russian-citizens-over-security-threat ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

EUAA. 2022. *Migration Drivers Report: Georgia as a Country of Origin*. ხელმისაწვდომია: https://euaa.europa.eu/publications/migration-drivers-report-georgia-country-origin ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

IDFI. 2022. *ტურიზმი თუ მიგრაცია? (რუსეთის მოქალაქეების საქართველოში დარჩენის მაჩვენებელი - 2022 მარტი-ივნისი).* ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/tourism_or_migration_rate_of_stay_of_russian_citizens_in_georgia ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

IDFI. 2022. *რუსეთის მოქალაქეებზე გაცემული ბინადრობის ნებართვები (მარტი-ივლისი)* ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/residence_permits_issued_to_citizens_of_russia ბოლოჯერ ნანახია:08.10.2022.

IDFI. 2022. რუსეთის მოქალაქეების ფინანსები საქართველოს ბანკებში. ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/finances_of_russian_citizens_in_georgian_banks ბოლოჯერ ნანახია: 25.10.2022.

IPN.2022. *ლარსის სასაზღვრო პუნქტთან დღეს საპროტესტო აქცია გაიმართება.* ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/728137-larsis-sasazgvro-punkttan-dges-saprotesto-akcia-gaimarteba/ ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

IPN.2022. *რუსეთის მოქალაქეების ნაწილის ინფორმაციით, საქართველოს საზღვრამდე მოსასვლელად რამდენიმე კილომეტრი ფეხით და ველოსიპედით გამოიარეს.* ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/728202-rusetis-mokalakeebis ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

IRI. 2022. Public Opinion Survey Residents of Georgia | September 2022. Available at: https://www.iri.org/resources/public-opinion-survey-residents-of-georgia-september-2022/ Last accessed: 07.11.2022.

Khutsishvili, George. 2022. *Intervention in Transcaucasus. ISCIP.* ხელმისაწვდომია: https://web.archive.org/web/20000525004338/http://www.bu.edu/iscip/vol4/Khutsishvili.html ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

Lomsadze, Giorgi. 2022. Georgians grudgingly accept growing Russian presence. Eurasianet. ხელმისაწვდომია: https://eurasianet.org/georgians-grudgingly-accept-growing-russian-presence ბოლოჯერ ნანახია: 26.10.2022.

Lomsadze, Giorgi. 2022. The Septembrists, Russia's latest wave of emigres to Georgia. ხელმისაწვდომია: https://eurasianet.org/the-septembrists-russias-latest-wave-of-emigres ბოლოჯერ ნანახია: 15.10.2022.

Manifest.ge. 2022.*რუსეთის და ბელორუსის მოქალაქეთათვის სავიზო რეჟიმის შემოღება.* ხელმისაწვდომია: https://manifest.ge/petitions/304478/%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83% ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

Matsne.ge. 2019. *საქართველოს მთავრობის დადგენილება №337, 2019 წლის 17 ივლისი ქ. თბილისი, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის დებულების დამტკიცების თაობაზე.* ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4617877?publication=0 ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

NDI.2022. *საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2022 წლის მარტი.* ხელმისაწვდომია: https://caucasusbarometer.org/ge/nm2022ge/codebook/ ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

NDI.2022. *საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2022 წლის ივლის-აგვისტო.* ხელმისაწვდომია: https://caucasusbarometer.org/ge/nj2022ge/NOMONFD/ ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

Shamanauri, Khatia. 2022. Georgia's growing reliance on remittances worries economists. ხელმისაწვდომია: https://eurasianet.org/georgias-growing-reliance-on-remittances ბოლოჯერ ნანახია: 28.10.2022.

TI. 2022. *საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე: რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა.* ხელმისაწვდომია: https://transparency.ge/ge/post/sakartvelos-ekonomikuri-damokidebuleba-rusetze-ruset ბოლოჯერ ნანახია: 09.10.2022.

TV1. 2022.*შაბათის ეთერი: ფიქტიური ქორწინების ბიზნესი რუსეთის მოქალაქეებისთვის.* ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/tvpirveli/videos/569510074949888/ ბოლოჯერ ნანახია: 08.10.2022.

HEINRICH BÖLL STIFTUNG
TBILISI
South Caucasus Region

GIP
საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

პუბლიკაცია მომზადდა „ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის – სამხრეთ კავკასიის რეგიონში“ მხარდაჭერით. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის – სამხრეთ კავკასიის რეგიონში“ და „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:
კორნელი კაკაჩია, სალომე კანდელაკი, „მიგრაცია რუსეთიდან: საფრთხე თუ შესაძლებლობა საქართველოსთვის?,“ პოლიტიკის მემორანდუმი #61, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ნოემბერი 2022.

© Georgian Institute of Politics, 2022
13 Aleksandr Pushkin St, 0107 Tbilisi, Georgia
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge

For more information, please visit
www.gip.ge